



21.06.2013

პრესრელიზი

„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR) მასწავლებლებისთვის სერთიფიკატების გადაცემის ცერემონიალს გამართავს

21 ივნისს, 15:00 საათზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (დიმიტრი უზნაძის №52) „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR) პროფესიულ გაცვლით პროგრამაში მონაწილე მასწავლებლებს პროგრამაში მონაწილეობის სერთიფიკატებს გადასცემს.

სერთიფიკატების გადაცემის ცერემონიალს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ბატონიალუდა გოგლიჩიძე და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრებიან. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ბატონი ალუდა გოგლიჩიძე მონაწილეობას მიიღებს სერთიფიკატების გადაცემის ცერემონიალში და შეაფასებს სამოქალაქო ინტეგრაციისკენ მიმართული პროექტების მნიშვნელობას საქართველოში.

გაცვლითი პროგრამა „ურთიერთთანამშრომლობა ქვემო ქართლის / სამცხე-ჯავახეთისა და საქართველოს სხვა რეგიონების მასწავლებლებს შორის“ (Teachers Partnership between Kvemo Kartli /Samtskhe-Javakheti and other regions of Georgia) არაქართულენოვანი სკოლების დაწყებითი კლასის მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასა და საქართველოს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლების თანამშრომლობას ისახავდა მიზნად.

პროგრამის ფარგლებში დაწყებითი კლასების 40 - მა სომეხმა და აზერბაიჯანელმასწავლებელმა 1 თვის განმავლობაში თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ქართულ სკოლებში ქართველ მასწავლებელთან ერთად იმუშავა: დაესწრო კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და მონაწილეობა მიიღო გაკვეთილის დაგეგმვისა და მსვლელობის პროცესში.

პროექტი სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით განხორციელდა.

კონტაქტი: ქეთევან ჯაჭვამე

595 511050

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი